თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 17

ქ. თერჯოლა 19 დეკემბერი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის წევრი ჯემალ ისაკაძე (კომისიის თავმჯდომარის დავალებით)

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ჯემალ ისაკაძე, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3.ბიძინა ბუცხრიუკიძე, 4. კობა კაცაძე, 5. შალვა ჭანკვეტაძე, 6. გოჩა ვერულაშვილი, 7. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. მერაბი ბასილაძე, 3. ივანე ჩუბინიძე, 4. როლანდი მესხი.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 7
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ''(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2822350105 წერილი, 16/12/2022 წ);

/მომხს. ჯ.ისაკაძე/

2. 2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282235094 წერილი, 16/12/2022 წ).

/მომხს. ჯ.ისაკაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრმა ჯემალ ისაკაძემ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ''განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული 1 უძრავი ქონება (ს.კ. 33.04.37.623, სოფ. ნახშირღელე, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი 48.000 კვ.მ.) რომლის

საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 2600 ლარით (უპირობო ელექტრონული აუქციონი).

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-2822350105 წერილი, 16/12/2022 წ).

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრმა ჯემალ ისაკაძემ კომისიის წევრებს გააცნო 2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი 2022 წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის № 28-282235094 წერილი, 16/12/2022 წ).

კომისიის თავმჯდომარის მ/შ.

ჯემალ ისაკაძე